ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესსა

და

ონის მუნიციპალიტეტს

შორის

პროექტის მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში განხორციელების მიზნით

საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2020-2023 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში

ჩვენ, ამ მემორანდუმის ხელმომწერები:

ვაღიარებთ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის პრინციპებსა და მის დამატებით ოქმს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ 2004 და 2019 წლებში;

ვაცნობიერებთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არის დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი, სადაც ადამიანის უფლებები ყველაზე უშუალოდ შეიძლება განხორციელდეს და ვართ ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის (შემდგომ „კონგრესი") მთავარი პარტნიორები;

ვითვალისწინებთ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებისა და ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებების ხელშეწყობის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს;

გამოვხატავთ ჩვენს მზადყოფნასა და ვალდებულებას, რათა:

გავაუმჯობესოთ ადგილობრივი დემოკრატიის ხარისხი საქართველოში ინსტიტუციური ჩარჩოების გაძლიერებითა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადამიანის უფლებების ინტეგრირების საშუალებით და ხელი შევუწყოთ უფრო ღია, ინკლუზიურ, მოქალაქეებზე ორიენტირებულ და გენდერულად მგრძნობიარე ადგილობრივ მმართველობას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ:

ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი

- **ხელი შეუწყოს** ონის მუნიციპალიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას ადამიანის უფლებების დაცვის, სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესების, თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობისა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინების მიმართულებით, რათა აღმოიფხვრას დისკრიმინაცია;

- **უზრუნველყოს** ადგილობრივ და ევროპულ დონეებზე გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, რათა შემუშავდეს ადგილობრივი სტრატეგიები და პოლიტიკა ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის, ასევე გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით;

- **მხარი დაუჭიროს** კონსტრუქციულ დიალოგს, ეფექტურ მრავალდონიან მმართველობასა და შესაბამისი მხარეების ჩართულობას ადგილობრივი მედეგობისა და მდგრადი განვითარების გაძლიერების პროცესში.

ონის მუნიციპალიტეტი

- **ხელი შეუწყოს** და გაითვალისწინოს ადგილობრივი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები სტრატეგიებში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში, კერძოდ, ევროპის საბჭოსა და კონგრესის რეკომენდაციები ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, ღია მმართველობისა და ანტიდისკრიმინაციის შესახებ.

- **გააძლიეროს** ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური ქმედებები ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით და ხელი შეუწყოს თანამონაწილეობით და ინკლუზიურ გადაწყვეტილების მიღების პროცესს;

- **წვლილი შეიტანოს** ევროპის საბჭოს პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში" განხორციელებაში და მონაწილეობა მიიღოს გამოცდილების გაზიარების აქტივობებში ახალი სტრატეგიების, ინოვაციური პრაქტიკისა და ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით, რომლებიც ეხმიანება ადგილობრივ გამოწვევებსა და მოქალაქეთა საჭიროებებს.

ხელმოწერილია თბილისში, საქართველო, 2021 წლის 9 დეკემბერს, ინგლისურ და ქართულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

სერგო ხიდეშელი

მერი

ონის მუნიციპალიტეტი

ანდრეას კიფერი

გენერალური მდივანი

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი